საექსპერტო დასკვნა

ანგარიშზე „ქ. თბილისში, ატენის შესახვევში, (ს/კ 01.14.14.005.195) მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილ ტერიტორიაზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური კვლევის შედეგები“.

შ.პ.ს. „Real Estate Development Company“-ის ხელმძღვანელობის თხოვნით ჩვენს მიერ 2016 წლის ივლისში შემოწმებული იქნა ქ. თბილისში, ატენის შესახვევში (ს/კ 01.14.14.005.195), მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილ ტერიტორიაზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოების ტექნიკური დოკუმენტაცია.

შემოწმების მიზანი: დადგინდეს ქ. თბილისში, ატენის შესახვევში (ს/კ 01.14.14.005.195), მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილ ტერიტორიაზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოების და მის საფუძველზე შედგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისობა საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმებთან, წესებთან და სახელმწიფო სტანდარტებთან.

საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები შესრულებულია შ.პ.ს „ახალი საქქალაქმშენპროექტი“-ს გეოლოგიური განყოფილების მიერ 2016 წლის მაისში. სამუშაოების უშუალო ხელმძღვანელი, ინჟ. გეოლოგი ა. პასიკაშვილი. მათ გეოტექნიკურ ლაბორატორიაშია შესრულებული გრუნტების თვისებების გამოკვლევა და გრუნტის წყლის ქიმიური ანალიზები.

საექსპერტოდ წარმოდგენილია:

1. ანგარიშის ტექსტური ნაწილი აკრეფილი კომპიუტერზე---------- 11გვ.
2. ტექნიკური დავალება---------- 1გვ.
3. კომპრესიისა და ჭრის გრაფიკები---------- 12გვ.
4. ცხრილი გრუნტების თვისებებზე ---------- 1გვ.
5. ცხრილი გრუნტის წყლის ქიმიურ შედგენილობაზე, სათანადო დასკვნით---4გვ.
6. მოედნის ტოპოგეგმა ---------- 1 ფურც
7. სამთო გამონამუშევრების ლითოლოგიური სვეტები ---------- 3 ფურც
8. მოედნის გეოლოგიური ჭრილები ---------- 5 ფურც.

პროექტით საკვლევ მოედანზე უნდა აშენდეს 18 სართულიანი საცხოვრებელი სახლი, მიწისქვეშა ორი სართულით. კონსტრუქციულად შენობა გადაწყვეტილია რკინაბეტონის კარკასში. შევსება იქნება აგურით ან ბეტონის წვრილი ბლოკებით. რაც შეეხება საძირკველს, მისი კონსტრუქცია და ჩაღრმავება გადაწყდება მოედნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების გამოკვლევის შემდეგ.

მოედნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების დასადგენად, ავტომანქანაზე დამონტაჟებული საბურღი დაზგით გაყვანილი იქნა 6 ჭაბურღილი, მათი საერთო სიგრძე შეადგენს 132.0 მეტრს. ჭაბურღილებიდან ამოღებული იქნა ნიმუშები მათი თვისებების დასახასიათებლად. აღებული იქნა აგრეთვე გრუნტის წყლის სინჯები მათი ქიმიზმის დასადგენად.

ჩატარებული საველე და ლაბორატორიული სამუშაოების ანალიზის საფუძველზე, საკვლევ მოედანზე გეოლოგიურ ჭრილში გამოყოფილი იქნა გრუნტის შემდეგი ფენები:

1. ფენა – 1 – ნაყარი გრუნტი
2. ფენა – 2 – თიხნარი კენჭების (20%) ჩანართებით
3. ფენა – 3 – კენჭნარი თიხნარის შემავსებლით
4. ფენა – 4 – ტბიური გენეზისის მოლურჯო ფერის თიხები, თიხნარისა და ქვიშნარის მორიგეობა
5. ფენა – 5 – გამოფიტული არგილითებისა და ქვიშაქვების მორიგეობა

ანგარიშში მოცემულია ზემოთჩამოთვლილი ქანების ფიზიკურ-მექანიკური თვისებები და მათი ნორმატიული და საანგარიშო მაჩვენებლები. ავტორი ითვალისწინებს რა შენობის მრავალსართულიანობას (17 სართული), წინადადებას იძლევა შენობა დაფუძნდეს ძირითად ქანებზე, არგილითებისა და ქვიშქვების მორიგეობაზე, რაც მიგვაჩნია სწორად.

მოედნის ჰიდროგეოლგიური პირობების შესახებ აღნიშნულია, რომ გრუნტის წყალი დაფიქსირდა მიწის ზედაპირიდან 7.5-8 მ. სიღრმეზე. წყალი აგრესიულია ბეტონის ნაკეთობების მიმართ.

დ ა ს კ ვ ნ ა

ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები ქ. თბილისში, ატენის შესახვევში (ს/კ 01.14.14.005.195), მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილ ტერიტორიაზე, აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომლებიც მოცემულია საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებით. ცალკეული შენიშვნები ჩვენს მიერ გამოთქმული სამუშაოების მიმართ, ავტორის მიერ მიღებული იქნა და ანგარიშში შეტანილია სათანადო კორექტივები. ამრიგად წარმოდგენილ ანგარიშს ეძლევა დადებითი შეფასება.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
გრუნტების მექანიკისა და ფუძე-საძირკვლების
მიმართულების ხელმძღვანელი,
ტექნ. მეცნ. დოქტორი, პროფესორი /გ. ჭოხონელიძე/